ხაშურის მოამბე

№24 (275) 28 სექტემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

ხაშურში, რკინიგზის კულტურის სასახლის რეაბილიტაცია იწყება

ხაშურის რკინიგზის კულტურის სასახლე, თავისი უნიკალური არქიტექტურული სტილით, მართლაც გამორჩეული ნაგებობაა ჩვენს ქალაქში. მას უკვე საუკუნის ბიოგრაფია აქვს და მის სახელს მრავალი უნიკალური ისტორია უკავშირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მის სცენაზე ისეთი უდიდესი მსახიობები იდგნენ, როგორებიც იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ვასაძე და სხვები. საუკუნის განმავლობაში, სასახლეს რამდენჯერმე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ბოლოს, აქ, ამ ორი წლის უკან მოხდა კულისებისა და ფოიეს რეაბილიტაცია. ახლა კი სცენისა და დარბაზის სრული რეაბილიტაცია იწყება, რისთვისაც 914 ათასი ლარია გამოყოფილი. ტენდერი უკვე დასრულებულია და გამარჯვებული კომპანია "ინშაათ - საქართველო" ოქტომბერში სამუშაოებს დაიწყებს. ტენდერის პირობებით, სამუშაოები 2021 წლის აპრილის ბოლოს უნდა დასრულდეს და იგი 416 მაყურებელზე იქნება გათვლილი. ასე, რომ ჩვენი უნიკალური სასახლე, რომელიც შეინარჩუნებს თავის გამორჩეულ არქიტექტორულ სტილს და რომელსაც შიდა სივრცე(ფოიე, სცენა, დარბაზი) მთლიანად ულტრათანამედროვე ექნება, 6-7 თვეში პირველ მაყურებელს მიიღებს.

– „ივერიის" სტადიონი –

სულ ცოტაც, სულ ცოტაც და ...

ხაშურში, "ივერიის" სტადიონის მშენებლობაზე, ფაქტობრივად, ბოლო ეტაპი დაიწყო. მკითხველს ემახსოვრება, მისი მშენებლობა წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სფეროებზე, მშენებლობაზეც მკვეთრად იმოქმედა და სტადიონის დასრულების ვადა რამდენიმე თვით გადაიწია. არა, ამ შემთხვევაში მშენებლობა არც შეჩერებულა, უბრალოდ ტემპი შენელდა, თუმცა, არაუშავს, ორ თვესაც ავიტანთ და დავუცდით, ეს კოპწია სტადიონი როდის გაივსება გულშემატკივრებით და კვლავ აგუგუნდება საყვარელი გუნდის სახელი: "ი-ვე-რი-ა". უახლოეს დღეებში, აქ მინდვრის საფარის სამუშაოებიც დაიწყება და ე/წ მე-4 თაობის ხელოვნური "მინდორი"დაიგება. შეგახსენებთ, რომ სტადიონი 2,5 ათას მაყურებელზეა გათვლილი და მისი მშენებლობა 6 მილიონ ლარამდე ჯდება.

დასუფთავების აქცია – სურამში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ ორგანიზაციების ორგანიზებით, დაბა სურამში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა.

დასუფთავების აქცია, კამპანია, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავეს" ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციების -„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო", „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე"-ს საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისის" მიერ, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის" და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება.

2020 წლის მსოფლიო დასუფთავების კამპანიის გზავნილია -„ყოველი მცირე ქმედება სამყაროს განსხვავებულს ხდის"

მსოფლიო პანდემიის გათვალისწინებით, წლევანდელი კამპანია მცირე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა.

მსგავსი ხასიათის აქციებში, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ჩართულობა, ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საბავშვო ბაღები მოზარდების მიღებას ახალი რეგულაციებით იწყებენ

ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციამ საბავშვო ბაღების თანამშრომლებს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები და რეგულაციები გააცნო, გაერთიანებამ დაასრულა მუშაობა კოვიდ 19-ის პრევენციისთვის და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინვენტარის შეძენაზე, რათა სასწავლო პროცესი 1 ოქტომბერს, საბავშვო დაწესებულებებში, ყველა წესისა და ნორმის გათვალისწინებით მოხდეს. აღნიშნულ რეკომენდაციებსა და რეგულაციებს შეგიძლიათ გაეცნოთ ქვემოთ:

ზოგადი რეკომენდაციები:

შეიმუშავეთ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;

არ დაუშვათ საბავშვო ბაღის შენობაში გარეშე პირების (მათ შორის მშობელთა/მეურვეთა) შესვლა.

ბავშვების მიღება განხორციელდეს ბაღის თანამშრომლის მიერ;

დაწესებულების შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ როგორც პერსონალის, ასევე, ბავშვებისა და მათი მშობლების/მეურვეების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;

პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია, ეკეთოს პირბადე და იცავდეს არანაკლებ 1 მეტრიან დისტანციას;

თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, შენობის შესასვლელში უზრუნველყავით შესაბამისი მოსაცდელი სივრცის მოწყობა;

თერმოსკრინინგისას, ცხელების 370C ან 370C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება მოსაცდელ სივრცეში ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით, 15 წუთიან შუალედში. ყოველი გამოყენების შემდეგ სავალდებულოა:

ვერცხლისწყლის თერმომეტრი დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით;

უზრუნველყავით სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე ბავშვებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახის გამოყოფა;

რესპირატორული სიმპტომების/ცხელების მქონე ბავშვი, სიმპტომების გამოვლენისთანავე, დროებით გადაყვანილ უნდა იქნეს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად ბავშვის გადამისამართების მიზნით;

საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- შესაძლებელია ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
- აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
- ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
- ყოველი გამოყენების შემთხვევაში, უნდა დამუშავდეს სველი წესით;

სიცხის გადამოწმების შემდეგ 370C ან 370C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

- მასწავლებელი/აღმზრდელი/ძიძა/ადმინისტრაციის წარმომადგენელი არ დაიშვება

დაწესებულებაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;

- აღსაზრდელი განათავსეთ წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში. დაუყოვნებლივ, დაუკავშირდით მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია ბავშვის დაწესებულებიდან დროულად გაყვანაზე;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშიდეს 112-ს, შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად ბავშვის გადამისამართების მიზნით;
- საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა 6 წელზე მეტი ასაკის პირს უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და ბავშვები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;

დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები აღრიცხეთ შესაბამის ფორმაში;

დღის განმავლობაში დაწესებულების თანამშრომლის ან ბავშვის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, გადაამოწმეთ ტემპერატურა და იმოქმედეთ შესაბამისად;

დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა. შ.) პირების (მასწავლებლების, აღმზრდელების, თანამშრომლების და აღსაზრდელების) დაშვება დაწესებულების შენობაში

თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;

ობიექტის შესასვლელში განათავსეთ ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;

დაწესებულების შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი გამოყენების სავალდებულო ნიშნის მითითებით;

აღმზრდელები, აღმზრდელთა თანაშემწეები, ძიძები, დამლაგებლები და სხვა პერსონალი, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობენ, გადაამზადეთ (მათ შორის ახალი კორონავირუსის COVID 19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ) დაწესებულების გახსნამდე და გარდამავალ პერიოდში, რათა შეძლონ უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ რეკომენდაციების დაცვა თავიანთ სამუშაო ადგილზე;

შეადგინეთ გეგმა ჯგუფების ოთახებისა და ოთახებში ბავშვების რაოდენობის შესახებ;

უზრუნველყავით ბავშვების ხელების დაბანა სათანადო წესით ჯგუფურ ოთახში შესვლის წინ;

უზრუნველყავით პერსონალისა და სხვა პირების (გარდა ბავშვებისა) შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ნიღბით;

კომუნიკაციის გაძლიერების სტრატეგიისა და ბავშვების ოჯახთან დიალოგის წახალისების მიზნით, გამოიყენეთ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები (მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინება ან ვიდეო ზარი, პოსტერები);

დაწესებულებაში უზრუნველყავით ბავშვის მიღებისა და გაშვების დროში გაწერილი გრაფიკის დაცვა, ამასთან, რაიმე მიზეზით გრაფიკის დარღვევის აუცილებლობის შემთხვევაში, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ბაღში მისვლამდე არანაკლებ 10 წუთით ადრე უნდა აცნობოს ტელეფონით ჯგუფის ხელმძღვანელს, რათა საკმარისი დრო იყოს იმისთვის, რომ ბავშვი მოამზადონ სახლში წასასვლელად;

გამოიყენეთ ე.წ. „ჩეკლისტები“ იმისთვის, რომ დაეხმაროთ ოჯახებს სწორად იქნეს დადგეგმილი მათ მიერ ბავშვის ბაღში მიყვანის და გაყვანის დროები, რათა თავიდან იყოს აცილებული მშობლებისა და ბავშვების ერთდოული თავშეყრა დაწესებულების შესასვლელში;

შეიმუშავეთ საერთო სივრცეში (ეზო, დარბაზი და ა.შ.) ბავშვების გაყვანის გრაფიკი იმგვარად, რომ კონკრეტულ დროის მონაკვეთში სათამაშო მოედანზე ან სხვა საერთო სივრცეში ბავშვების მცირე ჯგუფმა ითამაშოს/დაისვენოს;

უზრუნველყავით ბავშვებისთვის ფანქრების, მაკრატლებისა და სხვა საშუალებებისთვის ინდივიდუალური ყუთების შექმნა ისე, რომ სახელოვნებო/გასართობი საქმიანობის დროს თითოელმა გამოიყენოს მისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ყუთი;

აკრძალეთ სახლიდან სათამაშოების მოტანა;

ხმარებიდან ამოიღეთ ისეთი სათამაშოები, რომელთა რეცხვა და დეზინფიცირება ვერ ხერხდება;

უზრუნველყავით საძინებლებში ბავშვების საწოლების ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით განლაგება იმგვარად, რომ ბავშვები წოლის დროს სახით ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ;

ბავშვებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებისთვის საჭირო უნარჩვევების განვითარება-ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის დანერგეთ იმგვარი თამაშები, როგორიცაა მაგალითად:

- შეჯიბრი ხელების დაბანაში;
- მეგობრებთან შეხვედრის, მისალმების და ურთიერთობის ახალი უნარების სწავლა;
- სახალისო თამაშები სახეზე ხელის შეხებისგან თავშეკავებაზე;
- როგორ უნდა დავაცემინოთ და დავახველოთ ისე, რომ სხვა არ დავაზიანოთ;
- უკონტაქტო მისალმების ხერხები, როგორიც არის მაგალითად, მისალმება ჟესტებით,

მშვიდობის ნიშნის ჩვენება, ხელის დაქნევა, თვალის ჩაკვრა და ა.შ.;

ასაკისთვის შესაფერისი აქტივობები/თამაშები ჯგუფებში დაგეგმეთ იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად მოახერხოთ ფიზიკური დისტანცირების დაცვა;

უზრუნველყავით ბავშვებისთვის სასწავლო გარემოს იმგვარად შედგენა, რომ მიეცეთ ყოველდღიური შესაძლებლობა, იყვნენ გარეთ (ღია სივრცეში), ითამაშონ ბუნებაში/ეზოში და ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში;

აკრძალეთ ისეთი გასართობი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა დიდი ოდენობით თავშეყრას;

უზრუნველყავით გარე სივრცეში ხანგრძლივად თამაშის ხელშეწყობა (თამაშებისთვის გამოიყენეთ ბავშვების დაყოფა მცირე ჯგუფებად; შეზღუდეთ აღმზრდელის/მასწავლებლის/ძიძის გარდა სხვა პირების შესვლა ისეთ სივრცეებში, სადაც იმყოფებიან ბავშვები;

უზრუნველყავით დაწესებულებაში ხელის დაბანის გამართული სა-

(გაგრძელება II გვერდზე)

(გაგრძელება)

საბავშვო ბაღები მოზარდების მიღებას ახალი რეგულაციებით იწყებენ

შუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები) სარგებლობა;

ბავშვებისთვის ხელების დაბანის დროს გამოიყენეთ გართობის სხვადასხვა საშუალება იმგვარად, რომ ხელების დაბანის პროცესი არანაკლებ 20 წამს შეადგენდეს;

ხელების გამშრალება მოხდეს ერთჯერადი ხელსახოცით ან ინდივიდუალური პირსახოცით, (პირსახოცის გამოყენების შემთხვევაში, მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს თითოეული ბავშვის მიერ მხოლოდ საკუთარი პირსახოცის გამოყენების პრაქტიკა და დაცული იყოს თეთრეულის რეცხვის ჰიგიენური რეჟიმი);

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა, ხელების დასამუშავებლად გამოიყენეთ არა უმცირეს 70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები;

სათანადო ადგილებში (საპირფარეშო, ონკანის სიახლოვეს) განათავსეთ ხელის ჰიგიენის წესები, მათ შორის ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე, სათანადო ილუსტრაციებით;

გამოყავით ჰიგიენის კუთხეები, ხელის ჰიგიენის საშუალებების განთავსებისთვის და მიაწოდეთ პერსონალს/აღსაზრდელებს ინფორმაცია ჰიგიენის საშუალებების სწორად გამოყენების შესახებ; პერსონალისა და სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომ, სათანადოდ დაცულ, ადგილას განათავსეთ ხელის სადეზინფექციო ხსნარები;

პერსონალი უზრუნველყავით სათანადო სწავლებით, რათა მათ ხელი შეუწყონ ბავშვების მიერ ჰიგიენური ნორმების დაცვას;

გაითვალისწინეთ, რომ:

- წინასწარ უნდა გქონდეთ თითოეულ ბავშვზე ინფორმაცია იმის შესახებ, აქვს თუ არა ალერგია ალკოჰოლზე ან რომელიმე ისეთ ნივთიერებაზე, რომელიც შედის სადეზინფექციო სითხის შემადგენლობაში;
- ბავშვებისთვის, უფროსების მეთვალყურეობის გარეშე, არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი სადეზინფექციო ხსნარები;
- ბავშვებისთვის ამა თუ იმ ნივთიერების მოხმარების წესები ახსნილ უნდა იყოს მათთვის გასაგებ ენაზე და ამ ტიპის ნივთიერებების (მათ შორის ხელის სადეზინფექციო სითხე) გამოყენება უნდა ხდებოდეს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.

პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე (არანაკლებ 2 საათიანი ინტერვალებით), უზრუნველყავით სათამაშო და საძინებელი სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;

სათამაშო სივრცეებში და ბავშვთა განთავსების ადგილებში უზრუნველყავით მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება იმგვარად, რომ მაგიდებს შორის, ასევე მაგიდასთან განთავსებულ პირთა შორის, ისევე როგორც დასაჯდომ ადგილებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი;

უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;

სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალი აღჭურვეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- ნიღაბი;
- სახის დამცავი ფარი;
- ხელთათმანი;
- ერთჯერადი ხალათი (დამლაგებლისთვის);

განახორციელეთ მონიტორინგი ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებაზე.

განსაკუთრებულად მიადევნეთ თვალყური:

ბავშვებმა საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლისა და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალონ ერთჯერადი ხელის გასამშრალებელი საშუალებებით;

ბავშვებს დაეხმარეთ/ასწავლეთ/გამოუმუშავეთ ჩვევა, რომ დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარონ სახეზე სუფთა ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი. ქცევების დემონსტრირებისთვის გამოიყენეთ სათამაშოები/თოჯინები;

თუ რომელიმე ბავშვი თავს შეუძლოდ იგრძნობს (მაგ. ექნება მუცლის ტკივილი, დაუფიქსირდება ტემპერატურის მატება) დაუყოვნებლივ უზრუნველყავით მისი გადაყვანა საიზოლაციო ოთახში. მოთხოვნები სამზარეულოსთვის:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზება უნდა განხორციელდეს „ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბავშვებისთვის განკუთვნილი სურსათის მომზადებისას დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების დაცვა:

- სისუფთავის დაცვა;
- მზა და ნედლი პროდუქტების განცალკევება;
- სურსათის სათანადო თერმული დამუშავება;
- სურსათის შენახვა სათანადო ტემპერატურის პირობებში;
- უვნებელი წყლისა და ნედლეულის გამოყენება.

პერსონალის მიერ სამზარეულოში მუშაობის დროს გამოყენებული იქნეს ერთჯერადი ნიღაბი, თავსაბურავი და ხელთათმანი;

ხელების დაბანა მოხდეს ხშირად, თხევადი საპნით და წყლით;

სურსათთან შეხებაში მყოფი ყველა ზედაპირის/ინვენტარის რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

გაატარეთ სპეციალური ზომები იმისათვის, რომ კვების ბლოკის თანამშრომლებმა არ განახორციელონ სამუშაო აქტივობა ინფექციურ დაავადებაზე ეჭვის (მაღალი ტემპერატურა, სურდო, დიარეა) არსებობის ან ისეთი დაავადებით ინფიცირების შემთხვევაში, რომლის გავრცელება სურსათის მეშვეობით შესაძლებელია მოხდეს (მაგალითად, ინფიცირებული ჭრილობა, კანის ინფექცია, წყლული და სხვ.);

ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პროცედურები:

სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში, შემდეგნაირად:

- ჭურჭელი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
- გაირეცხოს არანაკლებ 400^0 ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით

პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;

- გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ 400^0 ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით

მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;

- გაივლოს არანაკლებ 650^0 ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
- დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
- წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ უნდა გაშრეს;
- სამზარეულოს ჭურჭელი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით.

ხელით რეცხვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისათვის და ორგანყოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის (დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანყოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში);

სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

დასუფთავება და დეზინფექცია:

გაამკაცრეთ დასუფთავების და დეზინფექციის ზომები საერთო სივრცეებში (საპირფარეშოები, დერეფნები, დარბაზები, ლიფტები და ა. შ.);

დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საგნებს, რომლებსაც ხშირად ეხებიან ხელით, როგორიცაა: სახელურები, ლიფტის ღილაკები, ჩამრთველები, კარის ღილაკები და ა.შ.;

დღის განმავლობაში, როდესაც ბავშვები არ იმყოფებიან ოთახებში (მაგ. არიან ეზოში) უზრუნველყავით სათამაშო და საძინებელი ოთახების დასუფთავება/დეზინფექცია და განიავება;

ბავშვების გაყვანის შემდგომ კარადები დატოვეთ ღია და ცარიელი, რათა მოხდეს მათი განიავება/დეზინფექცია;

იმ ზედაპიებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოქლორიდის გამოყენების შედეგად, გამოიყენეთ არანაკლებ 70% კონცენტრაციის სპირტის ხსნარები;

დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დამატებით ჩაუტარეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი;

უზრუნველყავით სანიტარული წერტილების დასუფთავება/დეზინფექცია დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ;

უზრუნველყავით სათამაშოების რეცხვა/დამუშავება შემდეგი წესით:

- ახლადშეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა), სანამ სათამაშოდ გადაეცემათ ბავშვებს, უნდა გაირეცხოს 15 წუთის განმავლობაში, 370^0-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შემდეგ კი უნდა გაშრეს ჰაერზე;
- სათამაშოები უნდა გაირეცხოს ყოველდღიურად წყლით, ჯაგრისით, საპნით ან საკვები სოდის 2%- იანი ხსნარით;

დაწესებულების ყველა სივრცეში უზრუნველყავით სველი წესით დალაგება/დეზინფექცია და სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმი „ტექნიკური რეგლამენტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით, „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშო ბაღში“- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის №01-172/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაიდლაინითა და „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19)

გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის:

სანიტარულ კვანძში დაცული უნდა იყოს სისუფთავე, რისთვისაც წინასწარ უნდა განისაზღროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;

სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელო-

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

ბის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული საშუალებები;

კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ;

საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;

დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები:

ხელთათმანები, სახის ფარი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;

საბავშვო ბაღები მოზარდების მიღებას ახალი რეგულაციებით იწყებენ

დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;

დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებელია ხელების დაბანა;

სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი დაწესებულების ბენეფიციარებისა და იმ პერსონალისთვის, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდება მათ გამოყენებას.

თეთრეულის ჰიგიენური რეჟიმის დაცვის წესი:

თეთრეული გამოიცვალოს საჭიროების მიხედვით;

ნახმარი თეთრეულის შეგროვება მოხდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ტომარაში ან სხვა თავდახურულ მოცულობაში;

კატეგორიულად იკრძალება გამონაცვალი თეთრეულის იატაკზე მოგროვება, დაბერტყვა, შეფუთვის გარეშე ტრანსპორტირება;

თეთრეულის (ასევე, პირსახოცების) რეცხვა განხორციელდეს დაწესებულების სამრეცხაოში ან სპეციალურ სამრეცხაოებში ხელშეკრულების საფუძველზე (ამ უკანასკნელის შემთხვევაში, აუცილებელია თეთრეულის რეცხვის მთელი ციკლისათვის (მიღება, დახარისხება, რეცხვა, გაშრობა, გაუთოვება, დასაწყობება, შენახვა და გაცემა) დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ხაზის არსებობა);

თუ თეთრეულის მართვისთვის გამოიყენება გარე მომსახურება, გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ეტაპები:

- თეთრეულის შეკრება;
- ტრანსპორტირება;
- რეცხვა და დეზინფექცია;
- დაუთოება;
- შეფუთვა;
- სუფთა თეთრეულის შენახვა;

სამრეცხაოში თეთრეულის დასამუშავებლად უზრუნველყავით ტექნოლოგიური პროცესების ნაკადურობა, რათა გამოირიცხოს ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის ნაკადების გადაკვეთა (თუ დაწესებულებაში ვერ ხერხდება ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის მოძრაობის ნაკადების სრული გამიჯვნა, მაშინ შესაძლებელია მისი შეფუთვა გასაცემად);

დაბინძურების ხარისხისა და თეთრეულის ტიპის მიხედვით შეირჩეს რეცხვის შესაბამისი პროგრამა. COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს რეცხვის არანაკლებ 600⁰ ტემპერატურა და სათანადო სარეცხი ფხვნილის კომბინაცია. აღნიშნული ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, რეცხვა წარმოებს შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით (მაგ., 0,5 %-იანი ქლორშემცველი ხსნარი) დეკონტამინაციის შემდეგ.

დასაქმებულთა/მესამე პირთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;

სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);

მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით შესაბამისი რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვის (არანაკლებ 2მ) შესახებ;

სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;

სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას, სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;

დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;

მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას;

მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

„სიყვარული ისეთი რამეა, ეტყობა, ამით ყველას არ აჯილდოებს უფალი და ეს უნარი ჩემი შვილის მამასაც არ აღმოაჩნდა“

„ქალები საქართველოდან“ ფარგლებში გამოქვეყნდა 71 წლის ლიანა ტატიშვილი ისტორია, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

ლიანა ტატიშვილი, 71 წლის, ხაშური

ამბობენ, რომ მუსიკალურად თავიდანვე ნიჭიერი ბავშვი ვიყავი. მეც მახსოვს, საბავშვო ბაღში როცა ვმღეროდი, აკომპანიმენტი არასოდეს მომწონდა იმიტომ, რომ ეტყობა, ბუნებამ დამაჯილდოვა ძალიან დიდი ნიჭით და 3 წლის ასაკშიც ვხვდებოდი ცუდად დაკრულს. მუსიკალური სკოლა რომ დავამთავრე ხაშურში, სკოლის დირექტორმა, ნინა პაატაშვ-

ილმა, თბილისში ნიკა მიასნიკოვთან მიმიყვანა, რომელიც ძალიან დიდი მუსიკოსია. ნიკამ შემამოწმა, მოვეწონე და ჩემთან მუშაობა დაიწყო. მოკლედ, პირველი მუსიკალური სასწავლებელის მისაღებ გამოცდებზე გავედი, რომლის კომისიის თავმჯდომარე სულხან ცინცაძე იყო. გამოცდას, ასევე ესწრებოდა პროფესიონალი მუსიკოსების მაშინდელი ე.წ. “ბომონდი.” სხვათა შორის, ძალიან წარმატებულად დავუკარი იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობდი და დღეში 10-12 საათი ვმეცადინეობდი. მაშინ გაიხსნა საკომპოზიტორო ფაკულტეტი და მეც

ამ ფაკულტეტზე მიმიღეს, სადაც სულ ბიჭები სწავლობდნენ და მარტო ერთი გოგო ვიყავი. შალვა მშველიძის კლასში გამანაწილეს, რომელიც არის მოვლენა და ეპიკური მუსიკის ფუძემდებელი საქართველოში. სხვათა შორის, წარმოშობით ისიც ხაშურელი იყო. სამწუხაროდ, დღეს ამ გენიოსებს უკვე აღარ ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში, რას ასწავლიან, ვერ გავიგეთ და ამ თვალსაზრისითაც, ქვეყნიერება ცუდ დღეშია.

მუსიკალური სასწავლებლი წარმატებით დავამთავრე, უკვე მქონდა საფორტეპიანო პიესებისა და რომანსების ჩემი კრებულებიც. იმ პერიოდში, ჩემს სიმღერებს მთელი თბილისი მღეროდა და როგორც კომპოზიტორი, კონსტანტინე პევზნერთან და იოსებ ტუღუშთან ვმუშაობდი, რომლებიც პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელები იყვნენ. ამ ორკესტრში მღეროდა არაჩვეულებრივი მომღერალი ჯილდა დათუაშვილი, რომელიც ჩემი მეგობარი იყო და ძალიან ახალგაზრდა, 29 წლის ასაკში, სიმსივნით გარდაიცვალა.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ცოტა ფუქსავატურად მოვიქეცი - თავში ამივარდა რაღაცები, სულიერი მოთხოვნილებები მეორე პლანზე გადავიტანე და გართობა პირველ ადგილზე დავაყენე. ყველაფერი მივატოვე თბილისში და 17 წლის, ხაშურში დავბრუნდი. რუსულ სკოლაში ვმუშაობდი მუსიკის მასწავლებლად. ბავშვებთან მუშაობასთან ერთად, უკვე საგუნდო ნაწარმოებების შექმნა დავიწყე. მას მერე, 54 წელია, პედაგოგიურ საქმიანეობას ვეწევი. რაიონის თითქმის ყველა სკოლაში მიმუშავია და ინსტრუმენტმოკიდებული სოფელ-სოფელ დავდიოდი. წარმოიდგინეთ, ამ სოფლებში ბავშვებს ფიცჯერალდსა და ლუი არმსტრონგს ვასმენინებდი და ვასწავლიდი. ჩემი მისია განმანათლებლობაა და ეს როლი ძალიან მომეწონა.

მალევე, 20 წლის ვიყავი, შვილი რომ შემეძინა. მამაჩემის დაკრძალვის წინა დღეს ვიმშობიარე და მის დაკრძალვაზეც ვერ ჩავედი. სიყვარული ისეთი რამეა, ეტყობა, ამით ყველას არ აჯილდოებს უფალი და ეს უნარი ჩემი შვილის მამასაც არ აღმოაჩნდა. ისე გამოვიდა, ჩვენ ჩვენს გზაზე წავედით... მიუხედავად იმისა, რომ 1971 წელს შვილი ქორწინების გარეშე გავაჩინე და მაშინ ეს არ იყო ადვილი ჩემი რეპუტაციისთვის, არაფერს ვნანობ. ბავშვი შემრჩა და თან, იმდენად გადაფარა ამ ჩემმა მუსიკალურმა შესაძლებლობებმა სხვა ყველაფერი, ვეღარ მებრძოდნენ. პირიქით, მე რასაც ვიტყოდი, ისე კეთდებოდა ყველაფერი რაიონში, რაიკომის მდივნებს ინსტრუმენტებს ვათრევინებდი აქეთ-იქით. ამანაც გამიტაცა, რომ აქ მე ვმართავდი ყველაფერს. რაც მთავარია, ჩემს ოჯახს მიღებუ-

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ №21,22,23)

რუისის სამწყსოს დავთარი

ხაშურის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით რუისის სამწყოს დავთარში. იგი შედგენილია 1715 წელს, ნიკოლოზ მროველის /ყაფლანიშვილი/ მიერ, ელენე დედოფლის სიგელის შედგენიდან /1693წ/ 22 წლის შემდეგ.

დავთარი წარმოადგენს რუისის სამწყსოში შემავალი სოფლების მოსახლეობის აღწერას. სულ აღწერილია ფრონეების ხეობების 84 სოფელი, რომლებიც ძირითადად დღევანდელი ხაშურისა და ქარელის რაიონებში შედიან. დავთარში სხვა სოფლებთან ერთად შეტანილია ხაშურიც და დაფიქსირებულია აქ მცხოვრები რუისის სამწყოს მრეველი.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ გავეცნობით 1715 წლისათვის ხაშურში მაცხოვრებელი გლეხების გვარებს:

„ქ. ბექუტაშვილი ედიშერ: საწირავი აძეს;
ქ. ოღმელი სეხნია: საწირავი აძეს;
ქ. გივიშვილი სეხნია;
ქ. გივიშვილი გივი;
ქ. ქუზიაშვილი თამაზა;
ქ. აქიმაშვილი ბერი;
ქ. ალექსიშვილი ძამა;
ქ. ინდიშვილი პაპუნა;
ქ. ინდიშვილი ბერი;
ქ. შოშიტაშვილი დარჩია;
ქ. აბიაშვილი ბადურა;
ქ. აბიაშვილი ოთარი;
ქ. მდდელი გიორგი;
ქ. მისი განაყოფი ბერი;
ქ. მალაძე ხოსია“.

აქ ჩამოთვლილ თხუთმეტ გვარს, რომელიც, ამავე დროს, თხუთმეტ კომლს წარმოადგენს, გარკვეული გამოსაღები უნდა გაეღო რუისის ეკლესიის სასარგებლოდ. “დრამა როგორც სხვისა დაგვიწერია. ამათი სახუცო მარჩილი ხუთი”- ნათქვამია დავთარში.

ამ დოკუმენტით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ 1715 წლისათვის ხაშურის არსებობა რეალური ფაქტია. უფრო მეტიც, თუ 1700 წლის ერეკლე მეფის ბრძანებაში დაფიქსირებულია მხოლოდ ხაშურელები, ამჯერად შესაძლებლობა გვეძლევა, გავეცნოთ თუ რა გვარის მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობს ხაშურში.

ეს გარემოება უდავოდ განამტკიცებს ელენე დედოფლისეულ სიგელზე დაყრდნობით ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას,–ხაშურის როგორც დასახელებული ადგილის, 1693 წლამდე, დიდი ხნით ადრე არსებობის ფაქტს.

დავთარში ჩამოთვლილი გვარებიდან დღეს ხაშურში გვხვდება მხოლოდ ორი გვარი: ქუზიაშვილი და აბიაშვილი.

XVIII ს-ის 20-იან წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს ხიდირბეგიშვილების “კაცების დავთარი”, რომელშიც ხაშურიდან თითქმის მოსახლეობის იგივე რაოდენობაა დაფიქსირებული, რაც რუისის სამწყოს დავთარში. ამავე დროს, ნაცნობ გვარებთან ერთად, გვხვდება ახალი გვარებიც. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ დროს ხაშური უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასახლებული ადგილი უნდა იყოს.

კერძოდ, ხიდირბეგიშვილების “კაცების დავთარში” შემდეგი გვარები გვხვდება:

“ქ. თოფჩიაშვილი, ქ. ქიტიასშვილი, ქ. ქუზიასშვილი, ქ. აბიასშვილი, ქ. ტაკვია, ნინია, ქ. პეტრია მინაძე/ეს გვარი საბუთში გადაშლილია/, ქ. ქიმერიძე გელა, ქ. ქიმერიძე პეტრია, ქ. ბაბალია, ქ. მენაბდისშვილი, ქ. ფოცხვერა, ქ..... /ეს გვარი საბუთში გადაშლილია და არ იკითხება/, ქ. მედორისშვლი, ქ. იაგუნდაშვილი”.

1724 წელს, ელიზბარ აიდანაშვილს ხაშურში მიწა მიუყიდია ახალდაბელი გაბრიელ ქიმერიძისათვის. დოკუმენტში ნათქვამია: “....ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, აიდანაშვილმა ელიზბარმა და შვილმა ჩემმა სტეფანმა და მამავალმან სახლისამან ჩემისამან, შენ, ახალდაბელს ქიმერიძე გაბრიელსა, შვილსა შენსა დავითასა, ივანესა და სვიმონასა, შვილსა შენსა და მამავალსა სახლისასა შენისასა, მას ჟამსა ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მიწა ხაშურის ბოლოს ზომით ორის დღისა, თორმეტ-თორმეტი მხარი და კიდევ ორი მხარი, თავს სარქისაშვილის მიდგმამდინ, ბოლოს /აქ გამოტოვებულია სიტყვა/ მიდგმამდინ, ერთი გვერდი პარიგოლაშვილის მიდგამამდინ, მეორე გვერდი ისევ ჩემი მიწის მიდგმამდინ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს ისე შენ. ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდეს. არა დარჩომილა რა ჩვენი თქვეზედა ერთი იოტის ფასი.”

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მიწის ნასყიდობის აღნიშნულ დოკუმენტზე დართული მოწმეების გაცნობა: “არის ამისი მოწმე თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი და კაცთაგან სურამის მოურავი ფავლენიშვილი ბერი, მამასახლისი ფასუაშვილი როსტომა, ბებიაშვილი ღვდელი გაბრიელ, ჯანიბახჩაშვილი ანდრია, სარახათუნაშვილი გაბრიელა, სალიბეგაშვილი გაბრიელი, ახალდაბელი მამასახლისი დათუა, ურიაყოფილი მანძულა, ქიმერიძე პეტრია, ნაზარაშვილი როსტომა, ბეშქენაშვილი დავითა, ხოსიაშვილი სიმონა, ყაზარაშვილი ბინია და მე კაკონაშვილს ტერ-ზაქარას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი”.

მოწმეთა უმრავლესობა სურამლებია, არიან ახალდაბელებიც, მათ შორის დასახელებულია ქიმერიძე პეტრიაც, რომელიც ხიდირბეგიშვილის “კაცების დავთარშიც” გვხვდება.

დოკუმენტი მრავალმხრივაა საყურადღებო. გარდა იმისა რომ მასში მოიხსენიება ხაშური, ჩვენს ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ “ხაშურის ბოლოს”, მიწას ქიმერიძე ყიდულობს. დღევანდელი ხაშურის ერთ-ერთ უბანს, რომელიც, მართლაც, რომ ხაშურის ბოლოს წარმოადგენს და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით, ქიმერიძეების უბანი ჰქვია. იქნება ამ დროიდან ეყრება საფუძველი აქ ქიმერიძეების გვარის დასახელებას? მით უფრო, რომ ხიდირბეგიშვილის “კაცების დავთარშიც” გვხვდებიან ქიმერიძეები. ერთ-ერთი კი ქიმერიძე პეტრია, ზემოაღნიშნული მიწის ნასყიდობის საბუთში მოწმედაც არის დასახელებული.

ხაშური თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ხაშური და ხაშურლები მოსახლეობის აღწერის უცხოენოვან დავთარშიც ფიგურირებს. მხედველობაში გვაქვს 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც არა მარტო სოციალური, არამედ ეკონომიკური ხასიათის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ხაშურის შესახებ.

1724 წელს ქართლი ოსმალებმა დაპყრეს. დაიწყეს „ოსმალება“, რომელიც ერთი ათეული წელი გრძელდებოდა. დამპყრობლები შეეცადნენ ქართლი ისე მოეწყოთ, როგორც ეს ოსმალეთში იყო მიღებული. ამ მიზნით მათ 1727 წელს ქართლის მოსახლეობა აღწერეს და გარკვეული გადასახადებიც შეაწერეს.

აღწერის მიხედვით, სოფელი ხაშური ახლოსაა „სოფელ გორათთან“ და „ექვემდებარება ამილახვარს“. იგი ისეთივე პატარა დასახლეებაა და მოსახლეობის რაოდენობაც თითქმის იმდენივეა, როგორც ეს ქართული წყაროებიდან ჩანს (მაგ: რუისის სამწყსოს დავთარი) დავთარში მოსახლეობა სახელითა და მამის სახელით არის დაფიქსირებული, გვარი მითითებული არა რის, თუმცა აქ დაფიქსირებული ზოგიერთი სახელი და მამის სახელი რუისის საწმყსოს დავთარშიც გვხვდება, მაგრამ ძნელია მათი იდენტურობის შესახებ რაიმეს თქმა.

დავთარში სულ მამრობითი სქესის 15 კაცია დაფიქსირებული. იქვე მითითებულია „სახლი 9“, რაც 9 კომლს უნდა ნიშნავდეს.

დავთარში დაფიქსირებულია შემდეგი პირები:

თამაზა ძე კოკინასი, კოგი ძმა მისი, ბაჩუა ძმა მისი, ბაბუნა ძე ალიასი, კითისა ძმა მისი, თამზა ძე კოკიასი, გოდერძა ძმა მისი, ივანე ძე ღადალასი, ივანე ძე გიორგისა, ლაზარე ძმა მისი, ბერუა ძე სეხნიასი, ოთარი ძე ბაჩუკისი, გიორგი ძმა მისი, თამაზი ძე თედორესი, ხოსიტა ძე გივისა.

მიწის დღიური მფლობელია 50. სამეუფოს ველის დღიური მფლობელი 20.44

შეწერილი გადასახადებიდან კარგად ჩანს, რომ ხაშურელების ძირითადი საქმიანობა მოწათმოქმედებაა. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფეტვი. მისდევენ მევენახეობას. აგრეთვე მეფუტკრეობას, მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მესაქონლეობა (მეცხვარეობა, მეღორეობა)

დავთარში ხაშურელებს შემდეგი გადასახადები აქვთ შეწერილი”

ისფინჯი კაცი 15, ახჩა 1800;
ხორბალი ქილა 100, ახჩა 2000;
ქერი ქილა 30, ახჩა 900;
ჭვავი ქილა 30, ახჩა 300;
უშრის გადასახადი ვენახზე დონუმი 40, თითოეულზე 40, ახჩა 1600;
გადასახადი ერბოზე 120;
გადასახადი სკაზე 90;
გადასახადი ცხვარზე 150;
არუსანეს გადასახადი 120;
დუშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 90;
გადასახადი ღორზე 90;
წისქვილის თვალი 1 სრული წლით, გადასახადი 120;
ბადი ჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე, კაჩკუნ, ბეითალმალი ამავე ხასე 19045.

როგორც ვხედავთ, შეწერილი გადასახადების რაოდენობა ფულად ერთეულშიც არის ნაჩვენები. სულ ხაშურელებს 8020 ახჩის რაოდენობის გადასახადი ჰქონიათ შეწერილი.

„ოსიაურს ზეით ხაშურს. . .“

ხაშურის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ შრომაში “აღწერა სამეფოსა საქართველოისა”.

როცა ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს სურამის წყლის ხეობას, აღნიშნავს, რომ “ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის წყალს ქემერტის წყალი, აღმოსავლეთიდამ”.

ე.ი. იმ ადგილას, სადაც სურამის წყალს (დღევანდელი მდ. სურამულა) ერთვის ქემერტის წყალი (ქემერტი, ვახუშტის თანახმად, სოფელია და რუკაზე დატანილი აქვს ოსიაურის ჩრდილოეთით, ხოლო ამ სოფელში გამომდინარე წყალს, შესაბამისად, ქემერტის წყალს უწოდებს), კერძოდ, “ოსიაურს ზეით”, ხაშური ჰქვია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში როდესაც ხაშურად სახელდებულ ადგილზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ დასახლებულ ადგილს, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამას გულისხმობს ვახუშტი ბატონიშვილიც. მით უმეტეს, რომ მას რუკაზეც აქვს დატანილი ხაშური.

ინტერესს იწვევს საკითხი: მაინც სად უნდა ვეძებოთ ხაშური, როგორ შეიძლება, დავაკონკრეტოთ მისი გეოგრაფიული მდებარეობა ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერის” მონაცემების მიხედვით?

ხაშურის რაიონის სინამდვილეში არ დასტურდება ვახუშტისეული ქემერტი და ქემერტის წყალი. უფრო მეტიც, დღევანდელ ხაშურთან მდინარე სურამულას არავითარი, და მით უფრო, ქემერტის წყალი არ უერთდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქემერტი დღევანდელი ქემფერია, ადვილი შესაძლებელია, რომ ქემერტიდან მივიღეთ ქემფერი /ქემერტი – ქემფერი/. ვახუშტი ბატონიშვილს ქემერტი აქვს დატანილი თავის რუკაზე დღევანდელი ქემფერის ადგილზე. ქემერტის წყალი, ვახუშტის მიხედვით, რუკაზე მოედინება ცედნის, ოძისის, წაბლოვანას, ქემერტის /ქემფერის/ და ლუბრუმას გასწვრივ და ხაშურთან ერთვის სურამის წყალს. ვფიქრობთ, ქემერტის წყალი დღევანდელი მდინარე ტილიანა /მტილიანა/ უნდა იყოს, რომელიც ისეთივე მიმართულებით მოედინება, როგორც ვახუშტის მიერ რუკაზე დატანილი ქემერტის წყალი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი მდინარე სურამულას ერთვის სოფელ სატივესთან, ხაშურიდან საკმაოდ დაშორებით. სხვათა შორის, ი. ა. გიულდენშტედტი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1771-1772 წლებში, იცნობს მდინარე ტილიანას, რომელიც მისი მიხედვით ასევე, სატივესთან უერთდება მდ. სურამულას. სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია, რომ ვახუშტისეული ქემერტის წყალი ტილიანაა, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ არავითარი გეომორფოლოგიური პირობები არ არსებობს, რომ მდინარე ტილიანა (თუნდაც ქემერტის წყალი) მდ. სურამულას “ოსიაურს ზეით”, ხაშურთან შეერთებოდა. ხაშურის სატივესთან ახლოს ძებნა კი, სადაც მდ,. ტილიანა ერთვის მდ. სურამულას, ყოვლად დაუშვებელია.

როგორც ჩანს, აქ ვახუშტი ბატონიშვილი უნებლიედ გარკვეულ უზუსტობას უშვებს, ისევე, როგორც იტრიის, ჩუმათელეთის, გორათის მდებარეობის აღნიშვნის დროს მის მიერ შედგენილ რუკაზე ან კიდევ “აღწერაში” ნაბახტევისა და ვაყის მდებარეობის განსაზღვრისას. ჩუმათელეთს და იტრიას რუკაზე მონაცვლებული აქვს ადგილი, იტრიის ადგილზე უნდა იყოს ჩუმათელეთი და პირიქით, გორათი ხაშურის სამხრეთით არის დაფიქსირებული, უნდა იყოს მის დასავლეთით, შინდარას სამხრეთით, ასევეა ხცისის და კრისხევის მიმართ გარკვეული უზუსტობაა დაშვებული, მათაც მონაცვლებული აქვთ ადგილი რუკაზე, ასევე “აღწერაში” და სხვა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„სიყვარული ისეთი რამეა, ეტყობა, ამით ყველას არ აჯილდოებს უფალი და ეს უნარი ჩემი შვილის მამასაც არ აღმოაჩნდა“

(დასასრული)

ლი ჰქონდა ეს ამბავი და ბავშვს ძალიან ელოდებოდნენ. მახსოვს, ფეხმძიმედ რომ ვიყავი, მამაჩემმა, რომელიც ბოლოს უსინათლო იყო, დედა-ჩემი ბავშვისთვის ემალის ქოთნის საყიდლად გააგზავნა, მაშინ ძნელად იშოვებოდა. მე სულ ჩემი საქმეებით ვიყავი დაკავებული და ჩემი შვილი დედაჩემმა გაზარდა. არაჩვეულებრივი დედა მყავდა, რომელსაც წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და ოთხი ენა იცოდა. უნივერსიტეტი მაშინ ახალი გახსნილი იყო და იქ სამწლიანი საბუღალტრო კურსები რომ გაიარა, ხაშურში გაანაწილეს სამუშაოდ. ახლა სადაც ვცხოვრობ, აქ 12 წელი იცხოვრა ქირით დედაჩემმა. ამიტომ გადმოვსახლდი მე ამ სახლში.

ანსამბლი “ცხრა მუხა” დავაარსე, რომელიც 25 წლისაა და შემოვლილი გვაქვს მთელი ევროპა. გზები და ქვეყანა რომ ჩაკეტილი იყო, მე მაშინაც დავდიოდი და დავწანწალებდი ბავშვებთან ერთად. კაპიკებს ჩვენ ვაგროვებდით, თუ რამე მქონდა მეც მიმქონდა და ასევე, ვისთანაც ფული მეგულებოდა ხაშურში, ჯიბეებიდან ვაცლიდი, რომ ბავშვები დამეფინანსებინა და საზღვარგარეთ წამეყვანა. აბა, რა უნდა მექნა მაშინ?! ასე დავდიოდით 20 წელი და მოვლილი გვაქვს აღმოსავლეთ ევროპა, იტალია, თურქეთი და ა.შ. ერთხელ, ამ მოგზაურობების გამო, ვალები დამრჩა, მეც აღარაფერი მქონდა გასაყიდი და ანზორ ბურჯანაძესთან შევედი, ქატო მომეცი-მეთქი. გაუკვირდა, ფქვილი არ გინდაო? მოკლედ, 4 ტონა ქატო და 10 ტომარა ფქვილი მაჩუქა. ვიდექით მერე და ამ ქატოს ვყიდდით, რომ ეს ვალი გაგვესტუმრებინა. შეიძლება ცუდია, როცა შენს თავზე არ ფიქრობ, მაგრამ მე ჩემი პირადი მოთხოვნებით არავის ვაწუხებდი, მხოლოდ ბავშვების წაყვანის გამო ვითხოვდი დახმარებას. ასეთი მოგზაურობების დროს ხალხი მდიდრდებოდა და მე სულ ვალებით ვბრუნდებოდი.

სხვებთანაც შევსულვარ იმავე თხოვნით. ერთხელ, მგონი, ბულგარეთში მივდიოდით, ჯაბა იოსელიანთან შევვარდი - შენი არ მეშინია, ჯაბა, სოფლელი ბავშვები უნდა წავიყვანო, ქვეყნის გარეთ რაღაცები ვაჩვენო და რამე ქენი, დამეხმარე-მეთქი. იმან, ეს ჩემზე გიჟი ყოფილაო და ჩემს თვალწინ დარეკა, ლიანა ტატიშვილი მოვა და ყველაფერი გაუკეთეთო. მართლა მოგვცეს მაშინ 1000 დოლარი და ბავშვები ასე წავიყვანე. კურიოზული შემთხვევებიც მქონია. ავთანდილ მარგიანის სახელზე წერილით ხელში, როგორც იქნა, ''იმელის'' შენობაში შევაღწიე და ვდგავარ, რომ მარგიანს წერილი მივცე. ისევ ბავშვების წაყვანა მინდოდა საზღვარგარეთ და ფული არ მქონდა. ვხედავ, რომ შევარდნაძე მოდის და მიღიმის. მეც გავუღიმე და თან ერთმანეთი მოვიკითხეთ, პარალელურად, თავი გადამიტრიალდა იმაზე ფიქრით, რომ ხელში წერილი მარგიანის სახელზე მეჭირა, არადა მინდოდა, მისთვის მიმეჩეჩებინა და თან, მასთან უფრო მეტი შანსი იყო, საქმე მომეგვარებინა. მოკლედ, ბევრი ასეთი მომენტი ყოფილა და ჩემი პირადი ინტერესებისთვის არასოდეს გამომიყენებია ის თანხები, რასაც ასე ვაგროვებდი. პირიქით, იქით მიმქონდა და უამრავი რამე გავყიდე სახლიდან.

ამ ყველაფერს მძიმე ამბებიც ბევრი ახლდა. სირიიდან მოვდიოდით და მხედრიონის დრო იყო, საშინელი სიტუაცია გზებზე - “გათრიაქებული” მხედრიონელები იარაღით ხელში იდგნენ. 35 ბავშვი და 10 მშობელი მომყავდა ავტობუსით. სირიაში კაპიკები ღირდა ყველაფერი და მშობლებმა სხვადასხვა პროდუქტით დატვირთეს ავტობუსი. გაგვაჩერეს და ერთ-ერთი ავტომატიანი კითხულობს, აქ ლიდერი ვინ არისო. მე ვარ-მეთქი და არც მიყურებს ისე გამოაცხადა “ავტობუსი უნდა დაიცალოს!” არა, ავტობუსი არ დაიცლება, ვერც შიგნით შეხვალ, ბავშვები მე მაბარია და უკან მშვიოდობით უნდა დავაბრუნო-მეთქი. ჩემს შვილს დავუძახე, გვერდით დავიყენე და ავტომატიანს ვუთხარი, თუ რამე ანგარიშსწორება გინდა, აგერ მე და აგერ ჩემი შვილი-მეთქი და თან, მათივე უწმაწურ ენაზე მივმართე, ვინც ახლა არ მესროლოს-მეთქი. ამის მოსმენაზე გაგიუდა, ვინ არის ეს ქალიო. მოკლედ, დიდი ცოდვის ტრიალი იყო და მთლიანი “აბოიმა” დაცალა ჩვენი ავტობუსის საბურავებზე. მე ძალიან უშიშარი ვარ, მაგრამ ავტობუსში რომ შეგეხედათ, ყველა გადაფითრებული და გაოგნებული იყო. აი, ასეთი რამეებიც ხდებოდა და ყველას უკვირდა, ეს ერთი ბეწვა ქალი რამდენს ვახერხებდი. ეს არ იყო მარტივი ცხოვრება და ერთხელ, თურქეთშიც დამრჩა სამი ბავშვი. მოკლედ, ჩვენ ღამე დავდიოდით ხოლმე და მე ავტობუსში ჩამეძინა. გზად რაღაცაზე ჩავიდნენ, ბავშვებს ყურადღება არ მიაქციეს და ისე გამოვიარეთ 500 კილომეტრი, არ ვიცოდით, რომ ბავშვები იქ დარჩნენ. ეს ის პერიოდია, ბავშვებს რომ იტაცებდნენ და ორგანოებს ყიდდნენ. წარმოიდგინეთ, მე რა მდგომარეობაში ვიქნებოდი. უკვე პოლიციაში განვაცხადეთ და ყველგან ვეძებდით. ბოლო იმედად, საკონსულოში დავრეკე და აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვებმა საკონსულო იცოდნენ და იქამდე თავად მივიდნენ.

ჩემთვის ნაცნობი იყო ის დაპირისპირებები, შუღლი და შური, რაც ხელოვნების სფეროში არსებობდა. მაგრამ მე ბევრი მეგობარი და ახლობელი მყავდა ამ წრიდან, რომლებიც ძალიან მაფასებდნენ. ამიტომ, არაფერს ვნანობ გარდა იმისა, რომ კონსერვატორია არ დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალურ სასწავლებელში გენიოსები მასწავლიდნენ და მოგვიანებით, ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტიც დავამთავრე.

სხვადასხვა შანსი მქონია ამ ქალაქიდან წასვლის და მაინც ბოლომდე ხაშურში დავრჩი. მაგალითად, ნანი ბრეგვაძე ჩემი მეგობარია და რამდენჯერმე მთხოვა, წავსულიყავი და მისთვის რუსული რომანსების თანხლება გამეკეთებინა, მაგრამ იყო მიზეზები და ვერ წავედი. თან, ის სხვა სამყაროა და მე სხვაგან ვცხოვრობ, მაგრამ ფოლკნერს მაინცა ვკითხულობ, ჰემინგუეისაც და თანამედროვე ლიტერატურასაც. თბილისელების მიმართ ცუდად კი არ ვარ განწყობილი, მაგრამ საქართველო მარტო თბილისი არ არის და არც ერთადერთი კულტურული ცენტრია. ხაშურს 140 წლის სახალხო თეატრი აქვს, სადაც ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი და ვინ აღარ ჩამოდიოდა. სხვათა შორის, მამიდაჩემებიც ამ სცენაზე მსახიობობდნენ.

დიახ, რაიონებშიც მიმდინარეობდა და მიდის კულტურული ცხოვრება. ჩემნაირი ხალხი რომ არ დარჩეს რეგიონებში, რა ეშველებათ ბაშვებს, რა ეშველება ქალაქს?!

ერთხელ, ჩემი მასწავლებელი ედგარ დავლიანიძე შემხვდა. კაიროში მივდივარ, კონსერვატორია იხსნება და იქ კონცერტმეისტერად ხომ არ წამოხვიდოდიო. იმის გამო, რომ დედა უკვე ცოცხალი აღარ იყო და შვილი მყავდა, რომელიც ფეხზე უნდა დამეყენებინა, ჩემი იქ მუშაობით კი, შეიძლება მისი მომავალი დამეკარგა, უარი ვუთხარი. ასევე, ჩემმა მეგობარმა, ამერიკაში მოღვაწე პიანისტმა, თემურ ახობაძემ, რომელიც “სტენვეი ჰოლის” სოლისტი იყო და ბარაკ ობამას ორივე ინაუგურაციაზე დაუკრა, 20 წლის წინ შემომთავაზა, წავსულიყავი მასთან ამერიკაში, სადაც ერთ საათში 150 დოლარს მიხდიდნენ. ორი თვე მომცეს მოსაფიქრებლად, მაგრამ მივხვდი, რომ ხაშურს ვერ დავტოვებდი ერთ კვირაზე მეტხანს და იქ შეიძლება ნოსტალგიით მოვმკვდარიყავი. ამიტომ, არასოდეს მინანია, რომ არ წავედი.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ისევ ვაგრძელებ და ახლა ექსპერიმენტულ ანსამბლთან ვმუშაობ სამუსიკო სკოლაში. ჩემს ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია და მე არ ვარ უკმაყოფილო. ცოტა ისეთი ცხოვრება მქონდა, ცა ქუდად რომ არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, ამიტომ, ბოლოში ასეთ სერიოზულ სახეს თუ მიიღებდა ჩემი მიღწევები და დამსახურებას მომანიჭებდნენ, არც ველოდი.

იდა ბახტურიძე

D

მადლობა გულისხმიერებისათვის

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო, ხაშურის რეფერალური საავადმყოფოს ინფექციონისტს - ქალბატონ **მაია ციცქიშვილს**, - გულისხმიერებისათვის, თბილი და გონივრული ქმედებისათვის, რომელმაც სიცოცხლე შემინარჩუნა.

პაციენტი ავთანდილ ბანცაძე

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ²), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ²).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

რედაქცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.